ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 05-63/2

ქ. თბილისი 23 ივნისი 2014წ.

1. ხელშეკრულების საერთო პირობები

1 .1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.

1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.2.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.2.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.

1.2.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში – "შემსყიდველი") – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.2.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, უწევს მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.2.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,** წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის ქეთევან ნატრიაშვილის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ ***შპს* „ნლ პრინტი"**, წარმოდგენილი მისი დირექტორი სოფო ჩიტრეკაშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), საქართველოს დამოუკიდებლობის დღის - 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებების უზრუნველყოფის შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 მაისის განკარგულების #860 საფუძველზე "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების დაფინანსების ფარგლებში (პროგრამული კოდი 320101), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, აფორმებს ხელშეკრულებას მიმდინარე წლის 26 მაისს თავისუფლების მოედანზე დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებისათვის ბეჭდვითი მომსახურების (CPV79800000) შესყიდვის მიზნით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს **2885 (ორიათას რვაასოთხმოცდახუთი) ლარს.**

	დასახელება	რ-ბა/	ერთეულის ღირებულება	სულ
1	სარეკლამო ბანერი1.5*2 მ	2.00	300	600
2	სარეკლამო ბანერი 1.5*3 მ	3.00	450	1350
3	სარეკლამო სტენდი „ავტობუსი" 1.6*2.3 მ	1.0	280	280
4	სერთიფიკატი	100	2	200
5	პლაკატი	4	43.75	175
6	სარეკლამო სტენდი1.7*2 მ	1.0	280	280

5. შესყიდვის ობიექტის განხორციელების პირობები

"მიმწოდებელი" უწევს "შემსყიდველს" მომსახურებას 2014 წლის 25 მაისის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, მომსახურების გაწევიდან 1 სამუშაო დღის ვადაში, რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს შესაბამის ფინანსურ დოკუმენტაციას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.
6.2 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს ნატო ასათიანს.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
7.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი რაოდენობის უნაკლო შესყიდვის ობიექტის მიწოდების დადასტურებისა და ანაზღაურების მიღების მიზნით შემსყიდველს შესყიდვის ობიექტთან ერთად წარმოუდგინოს.

8. მხარეთა ვალდებულებები

„მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას:

8.1 გაუწიოს "შემსყიდველს" ხარისიანი და დროული მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით პირობების გათვალისწინებით.

„შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას:

8.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და პირობების დაცვით აწარმოოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან".

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. "შემსყიდველმა" და "მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
11.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 1 (ერთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს, "შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების კონტროლი

14.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი ნატო დგებუაძე.
14.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მომსახურების ხარისხის კონტროლი.
14.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
14.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
14.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

15. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

16. ხელშეკრულების შეწყვეტა

16.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
ა) მომსახურების გაწევით.
ბ) მხარეთა შეთანხმებით.
გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 25 ივნისის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.
18.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო
მის.: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. #52
ტელ.: 2318940
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა #GE24NB0330100200165022

მინისტრის მოადგილის
ქეთევან ნატრიაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „ნლ პრინტი"
მის: ქ. თბილისი, პეკინის ქ.#34,III
სართული, ოთახი #304
სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE22
ა/ა №GE47TB7781736020100001
ს/კოდი 401967047

დირექტორი
სოფო ჩიტრეკაშვილი